ᲡᲐᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲜᲐᲮᲐᲢᲔᲑᲘᲐᲜᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ. ᲒᲐᲛᲝᲬᲔᲓᲘᲡ ᲧᲝᲚᲗᲔᲚ ᲙᲕᲘᲠᲐᲨᲘ ᲠᲔᲖ.

№ 47 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ, 5 1895 Წ. № 47

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ: მომავალი საერო სახლი, ანუ მეზუეში თფილისში ა. ხახანაშვილისა.—დიდი წყალდიდობა საქართველოში.—სხვა-და-სხვა ამბები.—სუფრადადებო ამბები.—ფ. ბ. ერისთავეს, ლექსი ახალგაზრდა სიმღერისა.—ორიოდე სიტყვა ტურის სამრეველო შეოლების მასწავლებლებზე დამენტი ჩსიკაძისა.— მცირე შენიშვნის დამწერს კ. დიდა შვილისა.—ᲞᲐᲠᲘᲖᲘᲡ ᲔᲚᲩᲘᲗᲘ.—ᲞᲐᲠᲘᲖᲘᲡ ᲛᲔᲤᲔᲡᲐᲜᲘ ᲞᲝᲛᲞᲔᲘ ᲘᲚᲘ. ᲩᲮᲘᲠᲛᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ-ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ.—ᲑᲣᲨᲘ-ᲞᲘᲠᲘᲡᲐ, ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲛᲝᲗᲮᲠᲘᲑᲐ ᲐᲕᲐᲙᲘᲡᲐ—ᲬᲐᲠᲚᲘᲡ ᲠᲐᲯᲐᲥᲔᲪᲘᲡ ᲛᲔᲛᲐᲠᲗᲘ —ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ.

ᲞᲐᲠᲘᲖᲘᲡᲘᲡ ᲛᲔᲤᲔ ᲛᲔᲜᲔᲚᲘᲙᲘ ᲛᲔᲝᲠᲔ.

ᲛᲔᲤᲔᲓᲠᲔ ᲛᲔᲡᲘᲐ ᲒᲘᲒᲘᲐᲢᲘ.

მომავალი „საერო სახლი“, ანუ მუზეუმი თფილისში

იდი ხანია ჩვენს საზოგადოებაში ტრიალებს სურვილი ისეთი სახლის შექმნისა, სადაც მოთავსდეს წერა-კითხვის საზოგადოების მუზეიმი და ალ. ს. როინაშვილის მიერ შემოკრებილი კალლექცია ძველი ნივთების და სურათებისა. სამწუხაროთ, ეს შეუნიერი და წასაქეზებელი აზრი აქამდის ვერ განხორციელდა. რათ საკირველია, ჩვენს ხელმოკლეობას და საერთო სიღარიბეს ეპრალებთ ამ გვარი საქმის შეფერხებას, თუმცა ეს გარემოება პატივსადებს სახეთს არ გვაძლევს დავიწყებას მიეცეთ ზემოხსენებული კეთილი განზრახვა. რამდენჯერ გამოთქმულა შიში და მწუხარება, რომ წ.-კ. საზოგადოების ძველ ხელმოსწერთა ბინა ეზრუნველათ ყოფილი არ არის ცეცხლის შთანთქმისაგან. რაც ოფლის ღვრით უწერიათ ჩვენს წინაპრებს, შემთხვევით გადარჩენილა შავს დღეებს და ახლა საერთო მეცადინეობით შემოკრიბა წ.-კ. საზოგადოების ნიგნთსაცავში, შესაძლებელია,—ღმერთმა ეი დაგეფაროს!—ხიფთის რასმე შეეთხვას. აი, ამ მოსაზრების მიხედვით იყო აღძრული ლაპარაკი, აშენდეს ისეთი სახლი, სადაც წარსული საუკუნეების გონების განძი ყოველი უბედური შემთხვევისაგან შეფარებულ ყოფილიყოს.

გარდა ამისა, ალ. ს. როინაშვილმა შემოწირა ჩვენს „საზოგადოებას“ თავის ძვირფასი მუზეიმი, ღირებული ხუთ-ექვს ათას თუმნათ, მაგრამ, რაკი საზოგადოებას შესაფერი ბინა არ აქვს, ის მუზეიმი რჩება პატრონ შემწირველთანვე. როგორც ხედავს მკითხველი მომავალს ჩვენს „საერო სახლს“ ორი ფანშნულება კიდეც მოუპოვია: იგი იქნება ნიგნთსაცავი ნასტამბთა და ხელნაწერთა; ამასთანავე იგივე გადაქცევა ძველ სახელოვნო ნივთთა და სურათთა მუზეუმათ. დარწმუნებული ვართ, რომ ამ გვარ „საერო სახლში“ მეტანენ დასაცველათ თავიანთ ძველ საყურადღებო ნივთებს ისეთი პირნიკე, რომელნიც ამ ქვეყნის უარზე არიან უბინაობის გამო.

ამავე „საერო სახლში“ უნდა მოეკცეს დიდი დარბაზი, სადაც შესაძლებელი იყოს სხვადასხვა „ქართველთა საზოგადოებათა“ სხდომების დანიშვნა. ამ გვარად ლრამბატული, წერა-კითხვის, ზეგნების გამომკეკმლის, დამსმარებელი და სხვა საზოგადოებანი შეიძენენ მუდმივ ბინას, იქონიებენ, თუ საჭირო იქნება, საერო ზეგნთ-საცავს, იყოლიებენ ერთს მუზეუმის ზედამხედველს და მდივანს. შეიძლება მეორე დიდი დარბაზი დაინიშნოს სახალხო ლექციების ბინათ, სადაც ხარჯგაუღებლივ ქართველი საზოგადოება მოისმენს ლექციებს, ან დაესწრება ბუნდოვან სურათების ახსნას. მაშასადამე მომავალი ჩვენი „საერო სახლი“ უნდა იყოს ჩვენთვის პატარა უნიეერსიტეტიც და მასთანავე სამეცნიერო აკადემიაც, შესაფერი მოწყობილობითი,

იტყვით, რომ ამ გვარი სახლის ასაგებათ საჭიროა დიდი ფულია. მართალია, უფულოთ არა გაკეთდება რა, მაგრამ ესეც ვიცით, რომ ყეყეანან შემძლებელნი პირნი და ამისთანა საშეილიშვილო საქმეს ხელს მოუმართვენ. ნუ დაივიწყებთ, რომ მთელი განათლებული კაცობრიობისათვის ეს საქმე საჭელოვანი იქნება: შეიკრიბება ძვირფასი მასალა ნივთიერი და სიტყვიერი ისეთი საყურადღებო სამეფოსი, როგორიც იყო საქართველო და კავკასია. ჩვენც სიამაყით შეგვეძლება უცხოელებს დავუსახელოთ ისეთი ადგილი, სადაც იგი ჰპოვებს თვალსაჩინო მოწმობას ჩვენი წარსულის დიადობისას და განვითარებისას. შეხედეთ ჩვენს მეზობელ სომეხებს, რანაირათ აალაპარაკეს მთელი ევროპა; ჩვენ კი არაკვინ გვიცნობს! ვისი ბრალია? ჩვენი, რასაკვირველია, თუ ჩვენ ხმას არ ამოვიღებთ და არ დავანახვებთ, რანი ყოფილვართ, სხვები თავს არ გაიცხელებენ! სომხებს თავიანთი ბაღლები, სემენარია, აკადემიაც აქვთ და ჩვენ ერთი გიმნაზიაც ვერ გაეხსენთ! სომხები თავიანთ სახელმწიფოს აღდგენასაც ცდილობენ და ნუ თუ ჩვენ ერთი სახლის შეძენაც გაგვეჭირდება?! ჩვენ გვჯერა, რომ ჩვენი საზოგადოება მოაქცევს ამ საქმეს ყურადღებას და არ დააყოვნებს მის განხორციელებას.

ა. ხახანაშვილი.

დიდი წყლობა საქართველოში

ოქტომბრის 28 ღამით დიდი წვიმებისაგან ძირული და ყვირილა ისე გადადებულან, რომ კალაპოტიდან გადმოვარდნილან და რკინის გზა აჯამეთის სადგურზე წაუღეკია ქვედა სართული ოფით სადგურისა წყალნი მოქცეულა, გზის ზედამცდელელის კაზარმა, ბუშავების სახლები და ანანოვის რკინის გზის ტოტი წყალ ქვეშ მოქცეულა, რუშავის ხიდი წაუღია. რადგან ღამე იყო, ბევრი ვერა ვიგიგეს რა კიდევ, წყლიო რამდენი სხვა ზარალი მომხდარიყო. მდ. ყვირილაზე ხიდი შეიჩარა, ორი თაღი ჩაინგრა, საშინელი სხვა არ გადაღებულა და წყალი თანდათან მატულობდა. რკინის გზის მატარებელის მმოსელი შეაჩერეს ფილამდის. სეირის ხიდი წაიღო. ყვირილის სადგურის წყლის აუზიც წყალმა მოიტაცა.

***

შორაპნის ახალი სადგური და მიწის შესამაგრებელი ქვის ეკლები ჩამონგრევენ, ყვირილასა და შორაპანშეა რკინის გზის ლიანდაგი სულ გაფუქდა, რკინის ზოდები მიინგრა-მოინგრა. შორაპნის ხიდის წინა ბურჯი ჩაინგრა. ძირულის სადგურზე რკინის გზის ლიანდაგი წალეკა და თოფი მიწის შესამაგრებელი ქვეთეკრის ეკლები დაანგრია. ძირულის სადგურიდან ხარაგაულის სადგურამდის სხვადასხვა ალაგს ვერსტ-ნახევრის მანძილზე რკინის გზის ლიანდაგი სულ წაღებულია, ერთგან ხიდის ბურჯები დაანგრია და რამდენსამე ადგილს მიწის შესამაგრებელი ქვის ეკლები მოგლიჯა. თეთი ხარაგაულის სადგურზე რკინის გზის აუზის შენობა დაიქცა. ხარაგაულიდან მოლითამდის გზის ღ ანდაგი ბეერგან გაფუქდა და წყალმა წაიღო, ქვის ეკლები დაიქცა. აჯამეთის ხიდი და სეირის ხიდი წყალმა წაიღო,თეთი სადგურზე სადგურის უფროსი, რკინის გზის მოხელეები და ოცი მეზაერი წყლით გარშემორტყმული იყვენ და არ იცოდენ, როგორ გადაეჩრინნთ თავი. დიდ ყვირილის ხიდს ათი ბურჯი მოტაცა წყალმა.

***

ტყიბულის რკინის გზაზე წვიმა გადაღებულან ასსამდა, გზა ყოველგან გაფუქებულია. წყალწითელა გადიდა ისეთ ნაირათ, რომ ალაგ-ალაგ ტყიბულის რკინის გზის ლიანდაგზე გადმოსკდა და ყოველივე დაანგრია.

***

კავკასიის აქეთ მხრის რკინის გზაზე საჯავახოსა და სამტრედიის რკინის გზის ლიანდაგზე გადაეიდა რიონი და ყოველივე მოსპო, თეთი რკინის ზოდები დაგლიჯა და რკინებიან-ხეებიანა ორ ვერსტ მეტზე წაიღო.

***

მტკვარი გადიდდა ისე, რომ ბორჯომის რკინის გზაზე გადიარა და თითქმის მთელი ბორჯომის რკინის გზის ლიანდაგი წალეკა. ორი ხიდის ბურჯები შეარყია და, ს

ქვაგუნდის მადნებს. იმედია, დიდძალი ფული დატრიალდება ამ მხარეში.

ამისთანა დიდ წყლობას ჯერ ქვეყანა არ მოსწრებია და სულ ყოველივე ესენი უნდა დავაბრალოთ ჩვენსავე გაუფთხილებლობას, რომ მთებზე ტყეები გავკაფეთ და წვიმის წყალს არავითარი ბუნებითი საგუბრები აღარ აქვთ.

სხვა-და-სხვა ამბები

ნიაღვარმა რამდენიმე ხნით თითქმის მოწყვიტა მთელი დასავლეთი საქართველო. ამ გარემოებამ საშინელი თავზარი დასცა ვაჭრობას და აღებ-მიცემობას. უცხო ქვეყნის საქონლის ფასმა კიდეც აიწია თფილისში. შაქარი გაძვირდა, ფუთზე მანეთი მოემატა, სხვა საქონელს კი მანეთზე ექვსი შაური.

***

სამინისტროში გაუგზავნიათ თხოვნები, რომ გაიხსნას ხაზინის ფულის კანტორები შულავერში ყვირილაში და ონში.

უმაღლეს მთავრობას განუზრახავს ბანკის ოპერაციების დაწესებულებანი გამართოს სამაზრო ქალაქებშიაც.

***

თფილისის გუბერნატორი ინჟენერებით და ტეხნიკებით გაემგზავრა გორს, რომ გორის ქალაქს უშველოს წარღვნისაგან.

***

დაღესტანში ვეცხლის წყლის მდიდარი მადანი აღმოჩენილა.

***

წელს პირველ ოქტომბრამდის ჭიათურიდან გაუტანიათ საზღვარ-გარეთ ცხრა მილიონზე მეტი ფუთი ქვა-გუნდა.

***

ახალბაიაზეთში საქალაქო შკოლის ინსპეკტორს ზედგინიძეს გაუმართავს ყველის ქარხანა.

***

ქალაქში შედგა ახალგაზდობის წრე, რომელსაც უნდა გამართოს სახალხო თეატრი და უკითხოს ხალხს წიგნები სხვა-და-სხვა მეცნიერებიდან ქართულათ.

საყურადღებო ამბები

დრანდა (სოხუმის ოლქი). წრევანდელი სიმინდი და ყურძნის მოსავალი აქეთკენ სასიხარულო სურათს შეადგენს მნახველთათვის.

თუმცა სიმინდს კარგი პირი უჩანს, მაგრამ უსწორ-მასწორო ამინდების გამო ჯერ ვერ გამხმარა. გლეხები ამბობენ: „ვაი, თუ ზამთარმა მოგვასწროს და ჭირნახული კალოზე დაგვრჩესო. დრანდა მდებარეობს ქალ. სოხუმიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩვიდმეტი ვერსის მანძილზე; აქ არსებობს მონასტერი და მონასტერთან ერთ-კლასიანი სამრეწველო სასწავლებელი. სწავლა-განათლებას აქაური მცხოვრებნი ძალიან გულ-გრილათ ეკიდებიან აქაურ მცხოვრებლებს შეადგენენ. გადასახლებული რუსები და მოლდავანები. გარშემო სოფლებში ცხოვრებენ: აღმოსავლეთით რუსები, სამხრეთით მეგრელები და აფხაზები (მდ. კოდორს გაღმა).

თუმცა სოხუმი ახლოა, მაგრამ დრანდელებს ფიქრათაც არ მოსვლიათ წარსულ დროებში დაექირავებინათ ან ექიმი, ან ფერშალი. თუ ვინმე ავათ გახდებოდა, იმის ჭირისუფალს უნდა მოექუსლა ან

სოხუმში, ან ონამჩირეში ექიმის ანუ ფერშალის მოსაყვანად, მაგრამ სანამდის ექიმი მოასწრებდა, აეთომყოფი, თუ სასიკეთილო იყო, კიდეც მოკვდებოდა.

როგორც იყო, ამ ორი წლის წინეთ იგრძნეს აქაურებმა თავიანთი გაჭირვება და ამ გაჭირვების თავიდან ასაცილებლად მიმართეს თხოვნით მთავრობას, რათა დაეარსებინათ აქ საავთმყოფო. ეს ორი თვეა, რაც აქ გიხსნა საავთმყოფო, დანიშნეს ექიმი და ფერშლები. საავთმყოფოსთან არის პატარა აფთიაქი. აქედან წამალი უფასოთ ეძლეოდეთ მხოლოთ იმთ, რომელნიც სახელმწიფო მიწაზე ცხოვრებენ; ასე რომ სახელმწიფო მიწაზე მცხოვრებთ ძალიან გაუადვილდათ ციების თავიდან აშორება. ამ მოწყალებას მოკლებულნი არიან ის მეგრელები, რომლებიც თ. შარაჯიძის მამულზე ცხოვრებენ. თუმცა „რეცეპტი“ იმათაც უფასოთ ეძლეოდეთ, მაგრამ წამლის სოხუმიდან მოტანა ძვირათ უჯდებათ და ამიტომ ვერ ასრულებენ ექიმის ბრძანებას. აქ ჯერ-ჯერობით აფთიაქი არ არსებობს, რომელიც ერთს უმთავრეს საჭიროებას შეადგენს აქაური ხალხისათვის. ამბობენ, ეითომ ერთს ქართველს აფთიაქარს „ნება აღებული აქვს და იანერიდან გახსნის აფთიაქსო“. მართლა თუ ეარეა, ღმერთო ხელი მოუმართე მას ამ კეთილ საქმეში.

აქ ძვირათ შეხედებით იმისთანა ოჯახს, რომ აეათ, დახაშმული, არ იყოს, („malaria“). რასაკვირველია, ამისთანა მოგდებულ ადგილებზე მიეცალილებლათ საჭირო არის ექიმი, ფერშალი, აფთიაქი, რომლითაც შეუძლიათ დიდი სარგებლობა მოუტანონ საზოგადოებას. ამ მოკლე ხნის განმავლობაში რეალსამდე აეათმყოფებს მიეცათ საშუალება ამ საავთმყოფოდან. მათ შორის სამი წილი დახაშმით იყო აეათ.

* *

ს. კოდორი (სოხუმის ოლქი). ეს ერთი თვეა, რაც აქაურ მცხოვრებთ ეწვიათ ყვავილი. ამ დაუპატიჟებელმა სტუმარმა ძალიან შეაშინა ადუხაზები. რაზოდენმეჯერ თხოვეს მთავრობას, რომ გამოეგზავნათ ამცირელი ფერშალი, მაგრამ ჯერ არაფერი ჩანს. კარი ი იქნება, მიაქციოს ყურადღება ამ გარემოებას ომან, ვისაც ჯერ არს.

სერგი ლდბაკ

* *

დაბალ სჯარა. კვირას ოც-და-ორს ოქტომბერს, წირვას შემდეგ, ადგილობრიემა მღვდელმა ფილიმონ ბარბაქაძემ მოკლეთ გააცნო საზოგადოებას ჩვენი საყვარელი მწერალი, თავადი რაფიელ ერისთავი, და აგრეთვე მისი შრომა და ღვაწლი, რომელიც მიუძღვის მას საზოგადოებისადმი. ამას შემდეგ გადახდილ იქნა პარაკლისი. საზოგადოებამ დიდი სიამოვნებით მოისმინა მამა ფილიმონის სიტყვები და გულთამდი მადლობა შეწირეს მას, რასაკვირველია, თავადის გაცნობისათვის და აგრეთვე პარაკლისის გადახდისათვის, ამასთანავე აღუთქვეს მცირეოდენი შემწეობა საყვარელის თავადის სახელობაზე.

დამსწრე

* *

პატონო რედაქტორო!

ნება მომეცი მიეაქციო თქვენი ყურადღება შემდეგს გარემოებას: რ. ერისთავის იუბილეს სასტორიო მასალის შესავსებათ, საჭიროა გაეხსენოთ, რომ პირველი კრება, ბაღში მომზდარი, რომელიც თქვენ გაქვთ მოხსენებული „კვალის“ № 46-ში, მოწვეული იქმნა წ.-კ. გამაერცელებელის საზოგადოების მონდობილობათ. წ.-კ. საზოგადოებამ ამ საქმეს მიაქცია ყურადღება ბ-ნის გუნიას, ვ. სულთანიშვილის, ნ. ჯორჯაძის და სხ. თხოვნით, რომელთაც ცალკე ქაღალდით მიმართეს გამგეობას, რომ „კვალის“ მიერ აღძრული კითხვა რ. ერისთვის იუბილეს გამართვის შესახებ მას გადაეწყვიტა და იუბილეს გამართვა ეკისრნა. ამის შესახებ გამგეობას ჰქონდა სხდომა, რომელზედაც მოგვანდო მე და გოგეშაშვილს, რომ მოგვეწვია ჩვენის ჟურნალ-გაზეთების დაწერსებულებითა წარმომადგენელნი. ჩვენც მოვიწვიეთ ყველანი და შედგა პირველი კრება ბაღში. აი, ამ კრებაზე მიენდო გ. წერეთელს, პ. ყიფიანს და კ. მესხს იუბილეს დღესასწაულის პროექტის შემუშავება.

დ. კრიჭაშვილი

* *

„კვალის“ მე-44 №-ში ამოიკითხე შემდეგი შენიშვნა: ეითომც მე გვირგვინის საკურთხი ფული, ერთი თუმანი, ყვირილის ეკლესიის სახელობაზე უნდა გამეგზავნა ზეპირ-სიტყვაობის ფონდის სასარგებლოო. ის თუმანი ჩემგან უკვე მიღებული აქვს ზემოხსენებულის ეკლესიის მღვდელს მ. ქ. ღ.; ზეპირ-სიტყვაობის ფონდისთვის არ შეეპირებიეარ ამ

ფულს და, თუ თვითონ, ეკლესიის კრებულს მოესურვებია იმისი გაგზავნა, ზემოხსენებული ფონდისთვის ამის წინააღმდეგი მე არ ვარ, პირ-იქით დიდათ მოხარულიც ვარ ამისთანა კეთილი განზრახვისათვის.

ქს. გაჩეჩილაძე

* * *

მე შემთხვევით დავესწარი წირვაზე ტფილისში კალოუბნის ეკლესიაში. წირვაზე ჩვეულებრივათ გალობდენ თავად-აზნაურობის შკოლის მოსწავლენი და ატკბობდენ ყურთა სმენას. მეზობელი მღვდელი კალოუბნის ეკლესიისა სამ თუმანზე მეტს აძლევს რუსულ მგალობლებს, რადგან თავისი სამრევლო შკოლის მოსწავლეთაგან ვერ შეუდგენიათ მგალობელთა გუნდი. კალოუბნის ეკლესიას იმდენი საშუალება არა აქვს, რომ მგალობელთა სასყიდელი მიეცეს. აი, ამისათვის მადლობის ღირსნი არიან მგალობლებიც და მათი ლოტბარიც, რომ ასე უსასყიდლოთ ემსახურებიან ეკლესიას და საზოგადოებას. განმეორებით გთხოვთ, ნება მომცეთ თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა გამოვუცხადო სათავადაზნაურო შკოლის მგალობელთა ლოტბარს და მგალობლებსაც. გთხოვთ, ამასთანავე წარმოგზავნილი ფერ-გადაუვალი ბრინჯაოს გულსაკიდი პატარა ხატები კეთილ მსახურის მეფის დავით აღმაშენებლისა ოც-და-თხუთმეტი ცალი გადასცეთ მგალობელთა და ერთი ამისთანავე ხატი წმიდა ვეცხლისა ბ. ლოტბარ ჩხიკვაძეს. მე დარწმუნებული ვარ, რომ ხშირი შეხედვა მეფე დავით აღმაშენებლის სახისა უფრო განაღვიძებს მათში იმ სიყვარულს ქართული საეკლესიო გალობისა და კითხვისას, რომელიც ასე მიმკვდარებულია ჩვენი დროის სამღვდელოებასა და საზოგადოებაში.

დეკანოზი დ. ღამბაშიძე.

თ. რ. ერისთავს

(მისის 50 წლის იუბილეს გამო)

უფლისგან არის ნაკურთხი,
პოეტო, შენი კალამი!
არ შემიძლია გაჩუმდე
და არ მოგიძღვნა სალამი.

—

ორმოც-და-ათი წელია
ვლე გზასა ეკლიანზედა,
მუდამ წუხილის მომგერელსა
შავ-ბედითს ეტლიანზედა...

—

წინ მიდიოდი უშიშრათ
ერთხელ არჩეულ გზაზედა,
გული გიწუხდა, ფიქრობდი
სამშობლოს მომავალზედა
და იმ ფიქრებში ცრემლები
არ შეგშრობია თვალზედა!..

—

სიმები შენის ჩანგისა
ღრმა გრძნობით აჟღერებულან
და ბევრის ტანჯული გული
მის სმენით აძგერებულან...

—

შენს ღვაწლსა დაბრკოლებანი
უშიშრათ ჰაუძლევია
და ქართველის ერში თავისი
კვალი ღრმათ დაუჩნევია:

—

იმ გზაზე, სადაც სუფევდა
ბუდე ეკლის და ღვარძლისა,
გაშლილა ვარდი, ნათესი
წინ მიმავალის „სარდლისა“...

—

ზედ ვლენან მამულის შვილნი,—
აღარ აბრკოლებთ შამბნარი,—
ხელში უპყრიათ ფანდური,
ოხვრათ და ცრემლათ დამდნარი

—

და დამღერიან: „მგოსანო!
გაგვიძეხ ყველას წინაო,
დანიშნულს ადგილს მიგვიყვა,
ბნელს ყოფნა მოგვეწყინაო;

—

„არ გიღალატებთ, ზედ ვივლით
შენგან არჩეულ გზაზეო...
„სამშობლო, დედის ძუძუი,
არ გაიცვლების სხვაზეო!“

—

დღეს მხიარულებს ქართველი
და შენს ჰერეტაში იცდება...

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდება საქართველ ღ ოსა!
ერთობა შენით მტკიცდება...

—

ქართველთან ერთათ გულ-წრფელათ
მგოსანო, გიძღვნი სალამსა,
ღმერთს ვევედრებ, დიდხანს დაეტკბოთ
მაგ შენსა ღვთიურს კალამსა.

ახალგაზდა სომეხი

ორიოდე სიტყვა გურიის საერეელო შკოლების მასწავლებლებზე

ᲒᲣᲚ ათი წელი არ იქნება მას შემდეგ, რაც გურიაში სამრეელო შკოლების დაარსება დაიწყეს. მაგრამ მიუხედავად ამ მოკლე დროისა, მათი რიცხვი ისე გამრავლდა, მათმა არსებობამ ისე მკვიდრათ გაიდგა ფეხი გურიაში, რომ დღეს ისეთ საზოგადოებას იშვიათათ შეხვდებით გურიაში, რომ სამრეელო შკოლა არ არსებობდეს. ხშირია ავრეთვე ისეთი საზოგადება, სადაც ორკლასიანნი სამინისტრო შკოლა არსებობს და ორი სამრეელო შკოლაც. საზოგადოთ, შკოლების გამრავლება, რასაკვირველია, ფრიად სასიხარულო მოვლენაა, რადგანაც ისინი არიან უტყუარი საბუთი ხალხის გამოუნზღვლებისა, სწავლის სურვილის აღძერისა; მაგრამ სამრეელო შკოლების გამრავლებას დღეს ჩვენთვის ორკეცი მნიშვნელობა აქვს. მოგეხსენებათ, რომ სამინისტრო შკოლებში დღეს დროთაეთარებისა და ქამთაუკუღმატრიალის გამო სამშობლო ენის სწავლება შეეიწროებულია და შეზღუდულია, ქართული ენის სწავლება იქ ფრჩხილებში არის ჩასმული, და, ადრე თუ გვიან, შეიძლება სრულებითაც განიდევნოს; თუმცაღა სამშობლო ენის უსაჭიროესობა პირველ დაწყებით შკოლაში პედაგოგიურ აქსიომათ არის აღსარებული საუკეთესო პედაგოგებისაგან. ეს ბედი (ქართული ენის შეეწროება) ჯერ არ წვეა ა მ̇ᲨᲙᲝᲚᲝᲜ სამრეელო შკოლებს. აქ უმაღლესათ დამტკიცებულის პროგრამის ძალით სამშობლო ენას, ამ აუცილებელს ნიშნს ეროვნებისას, სპპატო ალაგი უჭირავს სხვა საგანთა შორის. აქამდის ჯერ კიდევ ვერ მოუღწევია ბ-ნ ლეონაკაც „მუნჯურს მეთოდს“. მეთოდს ბავშვების გონებრივათ დასაბურვასებისა და დამახინჯებისა. დიახ, დღეს სამრეელო შკოლები ისეთი უფლებებით, რომელნიც მათ აქვთ მინიჭებული, დროზე ძოსწრებული მალამია დღევანდელის ჩვენის წყლულის განსაკურნავათ მაგრამ რათ გვინდა შკოლები თავის უფლებებით და ერეცელი პროგრამებით, თუ კი რომ ამ პროგრამას აღმასრულებლები, არ გვეყოლნენ! თუ კი რომ მასწავლებლები. ეს განფლობის აკვნის ძიძები არ გვეყავნენ. დიახ, აწ არსებულ სამრეელო შკოლების მასწავლებლებთან ისეთი პირები არიან, რომელთაც არც ბუნებითი გონება ამ ყოველად წმინდა და მრეალად მნიშვნელოვან საქმისადმი არ აქვთ და არც შესაფერი სწავლითი არიან აღჭურვილნი. ვინ არიან მასწავლებლათაო - იკითხავთ? ვინ გინდა, რომ არ არის? სამრეელო შკოლის მასწავლებლათ არიან ყველა, ვინც კი სასულიერო სასწავლებელი დაასრულა, ან და ამაე სასწავლებლის მესამე კლასიდან უნიფობასათვის ექსორია უყეკეს... მასწავლებლისათვის, განსაკუთრებით პირველ დაწყებით სკოლაში, საჭიროა ცოტათ თუ ბევრათ, პედაგოგიკ ცოდნა. მაგრამ ბევრმა მთავარმა არც კი იცის, თუ არსებობს ქვეყანაზე ისეთი მეცნიერება, რომელსაც პედაგოგიკა ეწოდების. აქეე მოეიყვან ერთს ფაქტს, რომელიც ეგრე მჭეერმეტყველურათ ღაღადებს ზოგიერთ წონებრივეს მასწავლებელთა ილა-დიდებაზე. გასულს წელს ჩემდა საუბედურითთ, შემხედა დასწრება მთ —ბ—ის სამრეელო შკოლის მოწაფეების გამოცდაზე. გამოცდის დროს საწყალი ბავშვები სულით და გულით ცდილობდენ კარგი ცოდნა გამოეჩინათ, თავიც ესახელებინათ და მასწავლებელიც. მაგრამ, აბა, რას გაგაღებდენ, რაც არაფერი გააჩნდათ. სხვათა შორის ქართულ ენაში გამოცდის დროს, ჩემმა ამხანაგმა ჰკითხა მესამე განკოფილების მოწაფეს, ჯეკილი რა არისო? ბავშვაც ჩაფიქრების შემდეგ გონებაში, მაგრამ ვერაფერი პასუხი ვერ ოპოვა და ისე თავის მასწავლებელს შეეჩერდა თვალებში და თხოვდა დახმარებას. მაგრამ ჩარშოიდგენეთ ჩემი განცვიფრება, როდესაც მასწავლებლისგან, აი, როგორი ახსნა გეეცმის: ბაშო, როგორ არ იცი, რა არის ჯეკილი? ჯეკილი არის გამხმარი ყანაო.

ასეთი მაგალითის შემდეგ, ვეკრებ, აღარ არის საჭირო ბევრი ლაპარაკი ჩვენი პედაგოგების აეკარგზე. არა, ბატონებო, ასეთ ბუჩით და არაფერათ მიჩნეეა სამრეელო შკოლებისა არ ეარგა. მიეხედოთ სხვა განათლებულ ქვეყნებს და დაეინახავთ, რომ იქ

უპირველესი ყურადღება პირველ დაწყებით შკოლებს აქეთ მიპყრობილი და საფუძვლიანიც არის ასეთი ყურადღება,—რადგან თუ საძირკველი დანგრეულია—მაშინ კედლებიც მალე დაინგრევიან. როგორც ისმის, მომავალი წლიდან სამრევლო შკოლების ნივთიერი პირობების გასაუმჯობესებლათ უწ. სინოდს გადაუდვია რამდენიმე ათასი მანეთი, რომლიდანაც მასწავლებლებსაც გადაწყვეტილი ჯამაგირი ექნებათ. ამისათვის კარგი იქნება, ვისიც ჯერ არს, ისარგებლებდეს ამ შემთხვევით და მასწავლებლებათ დანიშნავდეს შესაფერათ მომზადებულ პირთ შესაფერი ჯამაგირით. რამდენი, საკმაო გონებრივი ძალით შეიარაღებული, ახალგაზდა დადის დღეს უადგილოთ! აი, ეს ახალგაზდები გაამწესონ მასწავლებლათ და მაშინ შკოლაც შესაფერ ნაყოფს მოუტანს საზოგადოებას.

დომენტი ჩხაიძე

აბისინიის ელჩები: მეფისწული ბელაკიო. მეფისწული დამპტო. ლეონტიევი. ლენერალი გენემიე.

აბისინიის ელჩები

ამ რამდენიმე თვის წინათ აბისინიიდან მოვიდენ რუსეთში აბისინიის მეფისწულები რუსეთის სახელმწიფოსთან მეგობრული განწყობილების დასაარსებლათ. შარშანდელს „კვალის“ მკითხველებს ეხსომებათ დაწერილებითი მოთხრობა ამ ქვეყნებზე. ჩვენ აქ ავწერთ მხოლოთ აბისინიის მეფისწულების მგზავრობას რუსეთში. ეს მგზავრობა გამოწვეულ იქმნა თვით რუსეთის მთავრობისაგან, რომელმაც გაგზავნა თავის მხრით რამ-

დენიმე კაცი დოქტორ ელისეეისა და ლეონტიეეის თაოსნობით. ამათ იხილეს თვით აბისინიის მეფე მენელიკი მეორე, მეუღლე მისი �eიაიტა, რომელთა სურათები აქვე ისტამბება. მეფე-დედოფალმა დიდი პატივი სცეს რუსეთიდან მოსულ სტუმრებს და სამაგიეროთ თვითონ მათ გაგზავნეს რუსეთს მეფისწული ბელაკოო, მეფისწული დამატო და აბისინიის მხედართმთავარი ღენერალი გენემიე; მათ თან გამოყეა ლეონტიეეი, ოდგანაც ელისეეი აღრე დაბრუნდა აბისინიიდან და მალე გადაიცვალა.

აბისინიის სახელმწიფო მდებარეობს ეგეიპტის სამხრეთ დასავლეთისკენ. ხალხი მართლმადიდებელი ქრისტიანებია. აბისინიაში ქრისტიანობა იმ დროს გავრცელდა, როდესაც საქართველოში, ასე რომ აბისინიის ხალხი ძალიან ძველი ქრისტიანი ხალხია და უძველესი განათლების მომსწრეც არის. თვით აბისინიის მეფეს მენელიკ მეორეს მიაჩნია თავის თავი სოლომონ ბრძნის ჩამომავლათ. იმათში არის თქმულება, რომ აბისინიის დედოფალი ყოფილიყოს იერუსალიმში სოლომონ ბრძნის სანახავად და, ეითომც მისგან დაორსულებული, დაბრუნებულიყოს თავის ქვეყანაში და ჰყოლებოდეს შვილი, სახელათ მენელიკ პირველი. ახლანდელი აბისინიის მეფე სამოცდაორი წლის არის, მაგრამ შესახედავათ ბერათ უფრო ყმაწვილია, ეტრფის ევროპის განათლებას და უნდა ევროპის გზაზე დააყენოს თავისი ხალხი, ამ ბოლოის დროს იტალიის სახელმწიფომ დაიჭირა აბისინის ზღვის პირები და იტალია ფიქრობს ამ სახელმწიფოს ჯერ ეითომც მფარველობა გაუწიოს და შემდეგ კიდეც ჩაიგდოს ”ხელში. მენელიკ მეორეს კარავი ესმის თავის ევრაკი მეგობრის გულისწადილი და ამიტომაც დაეახლოდა რუსეთს!..... ამ გარემოებამ გაამწეაკა დამოკიდებულება რუსეთსა და იტალიას შორის. ამითი ისარგებლა ინგლისმა და შეკრა იტალიასთან მეკობრული კავშირი. შესაძლებელია ამ კავშირს თან მიყეეს სამთა სახელმწიფოს დაკავშირება და მაშინ მოეკი ევროპა გაიყოფა ორ ნაწილათ, ერთი მხრით იქნება საფრანგეთი და რუსეთი, ხოლო მეორე მხრით ინგლისი, იტალია, გერმანია და ავსტრია.

მენელიკ მეორე დიდი სათნო ქრისტიანია და ფრაად პატეს ცემს თავის სასულიერო წოდებას. ამ შემთხეევაში დიდი გაელენა აქვს მაზე მართლმორწმუნეს დედოფალს ცეგაიტას. ის არის ოც-და-თექვსმეტი წლის ქალი, სულ ახალგაზ ა ჯანმრთელი შეხედულებისა. დედოფალი დიდი გულმოწყალეა, მრავალ საქეელმოქმედო საქმეებს აკეთებს. ეწეკა დაერდოგმილებს, ღარიბებს და ქსენონები (საავადმ ყოფოები) აქვს გამართული.

,,მცირე შენიშვნის'' გამო.

ᲙᲐᲚᲘᲡ“ იუბილეს დღესასწაულის პატარა ისტორიით უკმაყოფილება გამოიწეია „ეიერრიის“ მხრივ. ამ ყოველ დღიურმა გაზეთმა კამათი დაუწყო „კალს“ იმის შესახებ, თუ ვინ პირველობდა ამ საერო დღესასწაულის მოწყობაში, ვინ უფრო ცდილობდა, რომ საქმე, აღძრული და დაწყებული „კალ“ შინ ნეკი საყვარეელი პატეტის აკაკის მიგრ, ჩაილულის წყალს არ მიეცემოდა.

სწორე მოგახსენოთ, მეც თანაზიარი გახლავარ ამ ისტორიის გამოარკვევაში, რადგანაც ისეთი ჩვენთვის სამარცხვინო ინტროდუქციით დავიწყეთ ეს საშეალოშეალოთ დაუეწყებელი საქმე, რომ საჭიროა ჩვენ შთამომბას ხელში ჰქონდეს იგი ყოველი ამისთანა შემთხეევისათვის სახელმძღვანელოოთ და გასაფრთხილებლათ.

მართლაცა და რას მიგაწეროთ ის გულგრილობა, დაუდეგრობა და მიყოუება, რითაც პასუხი უგეს საქმის დაწყების დროს ჩვენმა ბუმბერაზებმა თავის მოძმეს, არა იმათზე ნაკლებათ ცნობილსა და პატიეცემულს აკაკის.

შეიძლება „კალის“ მეისტორიეს რაიმე წერილმანი დაეიწყოდა, ვერ მოიხსენა, მაგრამ საიდან იცის „ეიერიამ“, რომ იმ წერილმანების გამოქეეყნებით უფრო არ გაშედებოდენ ოგივე ბუმბერაზები...

ჩვენ აქ ჩვენი მხრით ეერას მოემატებთ ამ ჩამოთვრებელ ისტორიას, გვეშინია ისეც ფლატეთ ჩაწოლილს ჩვენი ცხოერების მიმდინარეობაზე ფურთხენა არ აეარდეს...

ჩვენ თუმცა ყოველივე ამას ეერიდებოდით, მაგრამ ზოგიერთები, როგორც მაგალითათ ბ. გრ. აბაშიძე, გვაიძულებენ ცოტაოდენი რამ გამოეთქეათ.

ყოფილის კომიტეტს წეერა (?) გრ. აბაშიძეს „ეიერიის“ 236 №-ში დასტამბა მცირე შენიშვნა, რომელშიაც ამტკიცებს, ეითომც ბ. წერეთე-

ლი კომიტეტის წევრად არ ყოფილიყოს არჩეული.

მე, როგორც იმ კრებაზე, რომლის შესახებაც ლაპარაკობს ბ. გრ. აბაშიძე, დამსწრე „ᲙᲕᲐᲚᲘᲡ“ წარმომადგენელი, მოვალე ვარ ეცნობო ბ. გრ. აბაშიძეს ორიოდე შეცდომები და მოვიწვევ მოწმეებად პატივცემულნი ბ.ბ. ალ. ჭყონია, დ. მიქელაძე და ანდ. ღულაძე.

პირველი ესა, კენჭით თვით გრიგოლ აბაშიძეც არაფის აუარჩევია, რადგანაც ორიოდე კაცი ეიყვანთ თ. ილ. ჯაკუბაძის თანმჯდომარეობით შეკრებილნი.

დასახელებულნი იყვენ: ალ. ჭყონია, დ. მიქელაძე, ანდრია ღულაძე, კ. დოდაშვილი, ვ. წერეთელი, ეალ. გუნია და გრ. აბაშიძე. ამ პირთა შორის უარი განაცხადეს: ალ. ჭყონიამ, დ. მიქელაძემ, ეალ. გუნიამ, ან. ღულაძემ და კ. დოდაშვილმა. მაშასადამე, როცა დაემშალენით კომიტეტიც ეაუქმებულათ უნდა მიგვეწინა, რადგანაც ერთათ ერთი დამსწრე იმ დროს გრ. აბაშიძე კომიტეტს ვერ წარმოადგენდა, ხოლო გ. წერეთელი კი იმყოფებოდა ქუთაისში. მთელი გზა ფრეილინის ქუჩიდან დაწყებული მუხრან-ბატონის სახლამდის ანდრია ღულაძეს ვემუდარებოდით ყველანი, რომ საქმისათვის არ ეღალტნა, მიეღო მონაწილეობა და როდესაც მან გადაჭრით გვითხრა, არ შემიძლიაო და მიზეზიც დაგვისახელა ზ. გიერთებს (რომელიც თვით გრიგოლ აბაშიძემ კარგათ უწერს), მაშინ კი ვიფიქრეთ, რომ საქმე ცუდათ იქნება და ამისათვის ბ. დ. მიქელაძემ წარმოთქვა ჩემთან, იქვე იყო ალ. ჭყონიაც: ისევ სამი რედაქციის წარმომადგენლებმა უნდა ეკისროთ ეს საქმეო. ამასთან ისიც დაუმატა, რომ ხვალ უსათუოთ ბ. გ. წერეთელი, თუ ჩამოვიდეს, „ᲙᲕᲘᲠᲘᲡ“ რედაქციაში შემოიაროსო.

შემდეგ ამისა მოხდა 17 ივნობისთვეს ბანკის ერთე-რთის ოთახში სხდომა.

ამ სხდომას დაესწრენ: დ. მიქელაძე, გ. წერეთელი, ვ. გუნია, გრ. აბაშიძე, გრიგ. დასამიძე და მე.

დ. მიქელაძემ უთხრა სხვათა შორის გ. წერეთელს, რომ, თუ ამ საქმეს, შენ არ ითაევებ, ჩაიშლებაო.

გ. წერეთელმა უპასუხა: თუ თქვენ არ შემეწეთ, მე მარტოთ მაკ მძიმე საქმეს ვერ ეიტეერთებ. დ. მიქელაძემ და ეალ. გუნიამ ერთ ხმით უთხრეს გ. წერეთელს: სამოვენებით მოგეხმარებითო.

გ. დოდაშვილი

კახეთის მხსნელნი

ისტორიული პოემა

(გაგრძელება იგავის)

ნათელ გვირგვინით მოსილნახ
კახეთის მსხნელი გმირები:
ელიზბარ, შალვა, ბიძინა
ტარიელსავან დატანჯულები,
ტარიელად შესაწირავად
მახეიდით ვანგმორეულები,
ღმერთს ავედრებენ მამულს
მთ უკანასკნელ სიტყვები.

ი. გრ ორბელიანი
რ. სოკოლოვი

დასასრული *)

X.

ᲒᲝᲢᲐ ᲮᲐᲜᲘ შემდეგ როსტომ ხანი წავიდა საიქიოსა.
მის შეილობილი შაჰნაზრ
გამეფდა საქართველოსა.
შაჰნაზრს არჩილ, თეის შეილი,
მეფეთ ენდოდა კახეთსა,
მის საამებლათ სამეფე
გმირი გაგზავნა სპარსეთსა.
შაჰ-აბაზ უთხრა ამ გმირებს,
„ᲣᲐᲠᲰᲧᲐᲗᲗ თქვენი იესო
და თაყვან-ეცით თეი-მდაბლათ
მაჰმადს, დიდს ფეღამბარესო.
თუ ამასა იქმთ, შეგინდობთ
თათრების ამოყლეტასა,
კაი სამსახურს მოგანდობთ,
მოგცემთ დიდს მოწყალებასა!“
მაგრამ ბიძინამ მოუგო:

„ეგებ გგონიერთ ბაᲜᲘᲗ,
რომელთა ნებას იყიდის
სხეა-და-სხეა საჩუქარები?!
რას ეაქᲜᲘᲗ თქᲜᲘᲗ სიმდიდრეს,
თქᲜᲘᲗ დიდს ᲯᲐᲛᲐᲒᲘᲠᲘᲗᲐᲡ?!
სოფლისა ფუᲜᲘᲗ სიმდიდრე
ხიბლᲐᲡᲐ ᲬᲜᲘᲗ დაცᲘᲗᲣᲚᲘᲗᲐ.
ᲩᲔᲜᲘᲗ ᲔᲐᲠᲗ ᲬᲔᲘᲣᲠᲘ ᲛᲐᲛᲘᲡ
და ᲘᲔᲡᲝᲡ ᲛᲮᲔᲓᲠᲘᲗᲐ,
ᲩᲣᲛᲘᲗᲠᲘᲢᲔᲑᲘᲗ ᲔᲛᲘᲡᲮᲣᲠᲔᲑᲗ
ᲛᲘᲡᲗᲔᲘᲡ ᲗᲐᲒ-ᲒᲐᲜᲬᲘᲠᲣᲚᲘᲗᲘ.
თქᲜᲘᲗ ᲯᲘᲚᲓᲝ და ᲞᲐᲢᲘᲔᲑᲘ
ᲡᲘᲬᲛᲐᲠᲗᲐᲘᲗᲐ ᲒᲐᲕᲘᲠᲔᲑᲐ,
და ᲛᲐᲗᲐ ᲛᲝᲗᲐᲛᲧᲔᲜᲔᲑᲐ
ᲘᲛᲘᲗᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲗ ᲛᲝᲙᲒᲔᲓᲔᲑᲐ.
ᲐᲠ ᲙᲒᲔᲓᲔᲑᲘ ᲛᲮᲝᲚᲝᲗ ᲛᲘᲡᲮᲣᲠᲘ
ᲡᲘᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ, ᲩᲣᲛᲘᲗᲠᲘᲢᲔᲑᲘᲡ
და ᲜᲘᲗᲔᲕ ᲘᲛᲘᲡ, ᲔᲘᲜᲔ ᲛᲐᲗᲗᲔᲘᲡ
ᲛᲘᲡᲮᲔᲠᲘᲡᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲘᲬᲠᲘᲡᲔᲑᲘᲗ!!
ᲯᲘᲚᲓᲝ... ᲞᲐᲢᲘᲔᲑᲘ... ᲤᲣᲚᲔᲑᲘ...
ᲛᲘᲛᲣᲜᲘᲗᲐ ᲛᲯᲝᲜᲘᲐ!!
ᲧᲣᲔᲚᲐ ᲔᲡ ᲙᲐᲪᲘᲡ ᲡᲐᲪᲓᲔᲜᲐᲗ,
ᲩᲐᲜᲡ ᲔᲣᲛᲯᲘᲡ ᲗᲣᲒᲠᲘᲐᲜᲘ!..
დᲐᲰᲛᲔᲠ ᲥᲠᲘᲡᲢᲔ... ᲐᲛᲘᲗ ᲮᲝᲛ
ᲬᲘᲮᲚᲘᲗ დᲐᲪᲘᲚᲙᲐᲕᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲐᲡᲐ,
ᲣᲐᲠᲕᲔᲧᲝᲗᲐ ᲩᲔᲛᲘ ᲗᲐᲘᲡ ᲡᲐᲧᲣᲗᲐᲠᲘ
და ᲩᲔᲛᲘᲡᲐ ᲒᲐᲠᲔ-ᲗᲝᲛᲘᲗᲐᲡᲐ,
ᲣᲐᲠᲕᲔᲧᲝᲗ ᲛᲝᲛᲫᲛᲝ ᲔᲠᲘᲡ
ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲘ, ᲐᲬᲣᲧᲝᲗ და ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲡ,
დᲐᲕᲘᲥᲔᲚᲐᲕᲘ ᲛᲐᲛᲐ-ᲞᲐᲞᲘᲡ ᲫᲕᲔᲚᲔᲑᲘ,
და დᲐᲕᲐᲣᲠᲗᲮᲜᲔᲑᲘ ᲛᲗᲝᲡ ᲒᲖᲐ-ᲙᲔᲕᲐᲚᲡ...
ᲤᲣᲤᲐ ᲘᲛ ᲙᲐᲪᲡᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ
ᲙᲔᲪᲮᲚᲛᲐ და ᲮᲛᲐᲚᲛᲐ ᲐᲬᲘᲜᲝᲗ
და თᲐᲒᲘᲡ ᲔᲘᲜᲐᲛᲑᲐᲖᲔ
ᲛᲐᲡ ᲮᲔᲚᲘ ᲐᲔᲒᲘᲜᲘᲗᲣᲚ?!!
ᲗᲘᲗᲘ ᲗᲛᲘᲡ ᲣᲐᲠ-ᲛᲧᲝᲤᲔᲚᲘ...
ᲐᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲣᲪᲔᲚᲘ ᲛᲘᲐᲮᲣᲠᲘ;
ᲐᲜ ᲑᲠᲛᲣᲚᲐᲗ თᲐᲒᲘᲡ ᲛᲝᲧᲕᲐᲠᲔ
და ᲐᲜᲣ ᲒᲘᲧᲘ, ᲣᲒᲣᲠᲘ.
ᲒᲝᲜᲘᲔᲠ ᲙᲐᲪᲗᲐ ᲙᲠᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜ
ᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲬᲧᲔᲒᲘᲚᲘ,
თᲗᲘᲡ ᲗᲛᲘᲡ ᲣᲐᲠ-ᲧᲝᲛᲐᲡᲐ
ᲐᲗᲐᲡ ᲬᲘᲚᲐᲗ ᲯᲝᲑᲡ ᲡᲘᲙᲕᲔᲓᲘᲚᲘ!
ᲨᲔᲜ ᲙᲐ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲧᲘᲓᲔᲚᲔᲡ
ᲣᲐᲘᲠᲝᲛᲐ ᲛᲭᲐᲠᲔᲚᲔᲑᲐᲡᲐ
და ᲰᲭᲘᲠᲓᲐ ᲐᲛᲘᲗ ᲗᲐᲛᲘᲡᲚᲘᲡ
ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲡᲐ ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲐᲡᲐ!
ᲜᲣ ᲛᲢᲠᲝᲠᲝ, ᲧᲕᲔᲜᲝ, ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘ,
თᲛᲠᲘᲗ ᲘᲜᲐᲜᲔᲑ ᲑᲝᲚᲝᲡᲐ,
ᲠᲐᲗ ᲗᲐᲜᲯᲣᲯᲐ ᲐᲡᲔ ᲧᲣᲠᲗᲝᲗᲐ
ᲑᲔᲓᲙᲠᲣᲚᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲐ?!
დᲐᲓ, ᲛᲘᲡ ᲨᲔᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲚᲝᲛ-ᲒᲣᲚᲗᲐ
ᲧᲣᲧᲐᲠᲓᲔᲗ თᲐᲒᲘᲡᲧᲣᲗᲔᲑᲐ;
ᲒᲐᲜᲐ ᲘᲛᲗᲝᲛ ᲐᲠᲐ ᲡᲣᲠᲗ
ᲡᲮᲔᲑᲘᲡᲐᲒᲘᲗ ᲢᲙᲑᲔᲚᲘ ᲪᲮᲝᲠᲔᲑᲐ?!
ᲔᲐᲠ ᲒᲐᲢᲔᲑ ᲔᲑᲠᲐᲜᲔᲑᲘᲡ
ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐ ᲚᲝᲛ-ᲒᲣᲚᲝᲑᲐᲡ
და ᲔᲐᲠ ᲐᲛᲝᲬᲧᲔᲠᲘᲡ ᲮᲛᲐᲚ-ᲪᲔᲪᲮᲚᲘᲗ
ᲛᲐᲛᲐᲪᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲐᲡᲐ.
ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲗ, ᲪᲠᲔᲛᲚᲘᲗ და ᲪᲔᲪᲮᲚᲘᲗ
ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘ ᲘᲩᲠᲔᲑᲐ,
ᲐᲠᲪ ᲓᲔᲓᲘᲐᲠᲒᲕᲘᲡ ᲛᲘᲠᲛᲘᲡᲘ
ᲛᲐᲡ თᲣ ᲐᲠ ᲓᲐᲘᲫᲘᲜᲔᲑᲐ.
თᲣ ᲐᲐᲠᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲘᲡ თᲔᲐᲚᲡᲐ
ᲥᲐᲛᲗᲘᲡ ᲪᲔᲚᲡᲐ, ᲓᲠᲝᲗᲐ ᲢᲠᲘᲐᲚᲡᲐ,
ᲔᲐᲠ ᲐᲬᲝᲠᲔᲑᲔᲑᲐ ᲘᲡ ᲛᲐᲬᲘᲜ
ᲒᲐᲓᲐᲬᲘᲜᲔᲑᲐᲡ ᲢᲠᲘᲐᲚᲡᲐ!“

XI.

ᲨᲐᲰ-ᲐᲑᲐᲬ ᲛᲐᲗᲘ ᲬᲔᲐᲚᲔᲑᲐ
ᲑᲐᲫᲐᲜᲐ ᲘᲛᲗᲜᲖᲔ ᲒᲐᲛᲬᲧᲠᲐᲚᲛᲐ,
ᲬᲔᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐ ᲔᲡ ᲚᲝᲪᲐ
ᲬᲐᲠᲛᲝᲗᲥᲕᲐ ᲩᲝᲚᲝᲛᲧᲐᲨᲘᲚᲛᲐ.
„ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲗᲝᲗ ᲓᲝᲚᲚᲘᲔᲠ ᲘᲔᲠᲘᲜ,
ᲣᲣᲚᲝᲚᲝ, ᲨᲔᲘᲡᲣᲚᲔᲜᲝ;
ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲔᲜᲘᲜ ᲛᲘᲡ ᲛᲡᲮᲔᲠᲘᲡᲔᲚᲜᲘᲜ
დᲔ, ᲔᲘᲧᲝᲗ ᲛᲮᲝᲚᲝᲗ ᲩᲔᲜᲔᲗ.
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲗᲘᲡ ᲛᲢᲠᲔᲑᲘᲡᲐ
დᲐᲐᲪᲮᲠᲔ ᲡᲘᲛᲮᲜᲔ, ᲫᲐᲚᲘᲝᲗ,
და ᲛᲘᲔᲪ ᲛᲠᲐᲕᲐᲚ-ᲬᲐᲛᲔᲑᲣᲚᲘ
ᲑᲠᲬᲧᲘᲜᲕᲐᲚᲔᲑᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘᲗ.
თᲣ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲛᲝᲔᲚᲘᲡᲗᲐ
ᲨᲐᲒ-ᲓᲠᲝᲗᲐᲑᲔᲑᲘ, ᲛᲬᲣᲮᲐᲠᲔᲑᲐᲡᲐ,
ᲒᲝᲜᲬᲝᲗ, თᲗᲘᲗ ᲒᲐᲣᲫᲚᲔᲓᲔᲓ ᲛᲐᲡ ᲮᲐᲚᲮᲡ ᲬᲘᲜ,
ᲜᲣ ᲛᲘᲪᲔᲛᲗ ᲛᲝᲙᲒᲔᲓᲘᲜᲔᲑᲐᲡᲐ!“
ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲨᲐᲰᲓᲐ ᲒᲐᲘᲒᲝ
ᲘᲛᲗᲝᲛ ᲐᲡᲚᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐᲝ,
ᲐᲛᲑᲝᲜᲔᲑᲘ, ᲗᲐᲗᲡ ᲔᲐᲥᲐᲪᲝᲛᲔᲡ
ᲨᲔᲐᲡᲮᲐ ᲦᲘᲠᲘᲡ ᲥᲔᲑᲐᲝ—
და თქᲔᲐᲝ: „ᲘᲛ ᲮᲐᲚᲮᲡ, ᲔᲘᲡᲐᲪ ᲰᲧᲐᲠᲔ
ᲐᲡᲘᲗᲝᲛ ᲦᲘᲠᲘᲡ ᲨᲔᲘᲚᲔᲑᲘ,
ᲔᲔᲠᲐᲝᲠᲓᲔᲡ ᲔᲔᲠ ᲨᲔᲛᲭᲣᲠᲐᲕᲔᲡ
თᲔᲗᲝ ᲯᲝᲯᲝᲮᲘᲗᲘᲡ ᲫᲐᲚᲔᲑᲘ!“

XII.

ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲓᲔᲓᲔᲑᲘ ᲐᲔᲠᲐᲠ ᲛᲝᲩᲐᲜᲐᲜ
ᲘᲛ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐ ᲡᲛᲐᲠᲔᲑᲘ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მა'შინ რომ მამულს უმსხვერპლეს
თვისის სიცოცხლის დღეები...
გამტვერდნენ... აღარ არიან
მიწაში მათი ძვალები;
და მათთან ერთათ შეჭამა
ქანგმა იმათი ხმალები...
უწყალო დროშან აღმოფხვრა
მათი გვარი და სახელი;—
მაგრამ მათს გმირულს საქმესა
დიდხანს აღიდებს ქართველი.
ამბობენ, მათნი ჰირდილნი
ხშირათ ზე-წამოდგებიან,
ტურფა კახეთის ხილვითა
გამოუთქმელათ ტკბებიან,
იქიდან თვალსა აელებენ
შეენიერს საქართველოსა,—
იმისსა მთებსა მაღალსა,
მის ამწვანებულს მდელოსა.
მაგრამ ხედვენ, რა ქართველთა
ხალხისა გასხვაფერებას,
მის მოდურს ყოფა-ქცევასა,
მის მონურ წამხედურობას,
ხედვენ, რომ თავის მამულ'ში
ქართველი აღარ ქართველობს,
„ქართველთან" სახელწოდებას
ერიდება და თაკილობს,
დედა-ენაზე ლაპარაკს
თითქმის აღარც კი კადრულობს,
წარსულს კოცხავს და აწინდელს
უმეცრებითა ამაყობს,
ხედვენ მას, დავიწყებიათ
წმიდა-წმიდათა ძველნიბის,
და ეპარება თანდათან
მას შუბში გადა'შენების.
ჰირდილნი ტირიდ-ვლოვითა
საულაესეე დაბრუნდებიან,
პირ-ქვე ჭვებიან და თავზე
შაე-მიწას გადაიყრიან.
დიდხანს გაისმის იმათი
სიტყვები ნაღლის მომგერელი:
„ეეძებეთ ეელარსად ეპოვეთ
საქართველო'ში ქართველი!"
და ალაზანიც შხუილით
უმღერის ბლოვის მათ ხმებსა,
თითქოსა თანაუგრძნობდეს
მათ ღრმა აზრიოან სიტყვებსა!

ილ. ჩხარიშვილის-პირელი

ბაში-აჩუკი

(ისტორიული ზოგსრობა)

გუკანი მოსკოვის სტუდენტებს.

შემდეგი *)

ახეთის მეფე თეიმურაზ პირველი, დაეით წინასწარმეტყველის ეტოლებოდა თავის გენეგბაში: ის ჩემი წინაპარი და მე მისი ჩამომაეალი, ისიც ვეირგვინოსანი-მგო'ანი და მეცო— ჰეიქრობდა და ის კი აეიწყდებოდა, რომ დაეით მეფობდა უმაღლესათ ჩაგონებული და თეიმურაზი მხოლოთ ქვეშეერდომთაგან უმდაბლესათ შეგონებული. ის იქ ებრძოდა ამალეკთა და ეს აქ—თათრა-ეეკთა!.. პოლიტიკაში პოეტობდა, პოეზიაში პოლიტიკობდა ის დალოცეილი და მით საზარელ მომაეალს უმზადებდა სამეფოს. ამას ატყობდენ ზოგიერთები, მაკრამ ეინ გაბედავდა ცხადათ მხილებას?— და ჩუმათ კი აქა-იქ საყვედურები ისმოდა. ზამორის პირი იყო. გამხიარულებული ბუხარი გუგუნებდა და კოპიტის შეშას ტკაცა-ტკაცეი გაჭეონდა... ერთი ყმაწეილი კაკი მიჯდომოდა ბუხარს და ნაკეერცხლებს დაშტერებოდა. იქეე, მაბლობლათ ტახტზე მხართეძოს წამოწოლილიყო მოხუცი და პირის სახეს ათამაშებდა, ეტყობოდა, რომ თავის გულ'ში რაღაცას საუბრობდა. უცბათ აიღო თავი ახალგაზდამ და ჰკითხა მოხუცს:

„რა ანბავია, რომ ეს ერთი ხანია ბატონი სადარბაზოთ აღარ დაბძანდება?... ჩაუკეტია კარები და ჩამწყვდე

ში — „ᲛᲐᲛᲐ-ᲤᲐᲠᲐᲜᲘᲐᲜᲘ“, მეორეთ, შემოდგომას — ხილთა-ქება“ და ახლაც უთუოთ ზამთრის შესაფერსა წერს რასმე..

— მაგითი არა დაშაედება რა!.. წეროს! მოკლის დროს ეგეც კარგია.

— მოკლის დროს?! მერე და მეფე და მოკლეილი დრო ეის გუფარნია?.. არა, შეილო!.. მეფე რომ „ᲞᲘᲠᲘᲗᲣᲗ-ᲮᲘᲠᲘᲗᲘ“ დაუკრავს, მაშინ მისი სამეფო „ᲔᲗᲔᲠ-ᲔᲗᲘᲡᲐ“ იმღერებს.

— დღეთ ალმაშენებელიც მწერალი იყო, მაგრამ სამეფოსთვის არა დაუკლია რა.

— ალმაშენებელი წინასწარმეტყველსა ჰბაძავდა, ადიდებდა ყოველის შემოქმედს. მისი იამბიკო ლოცვა იყო და ამისი ბაირები კი ლაზღანდარობაა!..

— რუსთველს ეჯიბრება.

— ᲰᲐ! უკედავების წყარო და ნაძალადევი ᲭᲐ, ერთმანეთს ვინ შეადარა?!.

— აგრე ᲭᲘᲗᲮᲘ კარის კაცებს!.. მაგრე არ არწმუნებენ.

— კიდეც ეგ არის, შეილო, რომ პირფერობა ახდენს საქმეს! პირმოთნეობა და ფარისეველობა საზოგადოთ კარის კაცებს ხელობაა, მაგრამ მეფისგან კი მიკვირს, რომ ტკუდება.

— ალბათ სნეულებაა, იმ ერთის ზღაპრული მზეთუნახაესა არ იყოს.

— როგორ თუ მზეთუნახაეს?

— არ გაგიგონია, თუ აღარ გახსოვს? ერთი მზეთუნახაი თურმე ყოველ დილ-დილაობით მიდიოდა წყაროსთან და პირს რომ დიბანდა, ეკითხებოდა ხოლმე წყაროს: „წყაროვ! მე ეჯობიერ, მზე, თუ მთავრეო?“ „შენც კარგი ხარ, მზეც და მთავარეკო, მაგრამ ეთერი კი ყველას ჯობიათო!“ — ესმოდა პასუხათ და ეკრებოდა გულს. ბნ. მეფესაც სწორეთ ისე ემართება: რომ რამეს დაწერს, ეკითხება თავის გულს: მე ეჯობიერო, ჩახრუხა, თუ მეფეთელიო? „შენც კარგი ხარ, ჩახრუხაც და მეფეთელიც, მაგრამ რუსთველი კი ყველას ჯობიათო“, — უბურჩხულებს გინება და რუსთველის მიქმაშეს ზურით ეესება გული.

— უბედურებაც ეგ არის შეილო, გულში რომ ზური შეგ., მაშინ სულიც დასნეულდება! დიდი ცოდეაა, შეილო, ზურიანობა და ჩვენ სამეფო ოჯახს რაღა ცოდეს მიმტყება ეკერეკება. განსეენეული პაპა მაგისი სულ იმას ჩიოდა, რომ ხალხი გამრეელდა, ქეეყანა გაშენდა და ჩემ კახეთში სანადირო ადგილები აღარსად დამრჩაო!.. ამ საყვედურებით აწყენია ღმერთს და კიდეც გადახდა: დღიმდის ეის გაუგონია საქართველოში, რომ შეილი მამას დატანკებოდეს და ის კი მისმა შეილმა დაეთი მეფემ, ამ თეიმურაზის მამამ, ციხეში ჩამაწყვდეა; — მეორე შეილმა, გაურჯულე

ულმა კოსტანტინემ, მოჰკლა და თავისი ძმა გიორგიც თან მიაყოლა!.. აი, რა დიდი ცოდეა ტრიალებს მათ ოჯახში, შეილო! სისხლი მართებს და დიდი მსხეერპლიც არის საჭირო, რო გაიწმინდოს!.. დამატა ამოოხერით მოხუცმა და გამოისახა პირჯვარი.

— ღმერთმა შეუნდოს იმ ოჯახს და ნუ მოჰკითხოს მამა-პაპის ცოდეა ჩვენ ბატონ მეფეს! და თუ მოჰკითხოს მაინც, მის სამეფოს კი ააშოროს რისხეა! თქეა ახალგაზდამ მწუხარებით და მოიხადა ქუდი.

— ამინ! დაამატა მოხუცმა და ხელეგა-ᲰᲐᲪᲝᲠᲑᲘᲗ მაღლა ზეცისკენ აიხედა.

სწორეთ იმ დროს, როცა ორი დარბაისელი მამა-შეილი ბუხრის წინ საყვედურობდენ, თეიმურაზ მეფე მართლა ჩაკეტილნი ოჯდა მარტოთა-მარტო, დიდ საგონებელში ჩაეარდნილი, მაგრამ რუსთველზე არ ფიქრობდა. წინ ედგა ორი წერილი. ერთი ჩრდილოეთიდან და მეორე აღმოსავლეთიდან გამოგზავნილი. პირველი ტკბილი იყო, ალეგრისიანი და იმედით გამამხნევებელი, ერთი გულში უზიკონებდა და მეორე კი გულზე კბენდა: „თეიმურაზ-ხან — წერდა შაჰაბაზ პირველი — შეეიტყე, რომ ᲰᲐᲪᲘᲡᲜᲘ კეალს შედგომიხარ და გადამთიელი გინდა კარზე მომაყენო საჭირბოროტთ, მაგრამ სანამ მე მომადგებოდენ, ხომ შენი სამეფო უნდა დაუდგა გზათ და ხიდათ! და მიკვირს, რომ ჩემთან ერთათ ძმასაეით თანშეზდილს, ᲭᲣᲗᲐ-გონება დაგკარგია! ჩვენი ძმური კაეშარი უძეეელს დროიდან დღემდი მტკიცეთ შენახული და ახლა რაღათ უნდა გაწყდეს? მართალია, ჩვენი დიდი სახელი ადეეს თქვენ პატარა სამეფოს, მაგრამ საქმით ხომ დამოუკიდებელი ხართ და არაეინ ეხება თქვენ რჯულს, ენას, ეროვნობას, ზუბ-ჩვენულებას და წეს-წყობილებას? მართალია სპარსეთის „ეალლათ“ ითვლები, მაგრამ ესეც თქვენვე სასიკეთოთ: ასე რომ არ ყოფილიყო და ჩვენი დასახლებული არ ყოფილიყავთ, ვინ იცის, იქამდის რამდენჯელ აგაოხრებდენ თურქები და დღეს კი ჩვენი შიშითა და მორიდებით, ზვანთქარს თქვენი ბუზიც ეეღარ აუფრენია. ხარკს თუ

ოტყეი, აბა, რა სახსენებელია ბარკათ სამო�Ი ზონა,*) ანალგახდა ქართველი ქალი, მაშინ როდესაც სამაგიეროთ ჩვენგან ათას-თუმნობით მიგაქეთ და ხალათი კიდეე ზედმეტია. თეიმურაზ-ხან, გადაიგდე გულიდან ეგ ორიენესათვის მიენებელი სურეელი, თვარა, თვიმან ჩემმან, ეეღარ გადაურჩეთ ჩემ სამართლიან რისხვას ეეღარც შენ და ეეღარც შენი სამეფო!..“

ეს წერილი რომ წაიკითხა, თეიმურაზმა თავი ჩაღუნა და ღრმით ჩაფიქრდა. ბოლოს, თითქოს რაღაცამ გამოაფხიზლაო, უცბათ გასწორდა და დაიყვირა: არა! არა! გთავეებული სამეფა... აქ ფეიღმბარია თავმდები და იქ კი ჯარი და სახარება!.. პირველს რომ დაეერწმუნო და მეორეს არ ეედო, ეს ხომ რჯულის გმობა იქნებაჲ! უნდა გადწყეტეს... რაც მოხდეს, მოხდეს!.. ეს პატარა კახეთიც ხომ ნაწილია იმ დიდი საქართველოსი, რომელიც წილათ ხედი ღეთისშობელს და დედა-ღეთისა განა ხელს აიღებს თავის საუფლისწულოზე? ცოდეაა აქ იქეიანობა! არ ეკადრება საქრისტიანოს, რომ გულგრილათ აიტანოს მაჰმადიანების მეიდიურობა: წამეერმა ჭირმა, დროებითმა უბედურებამ როგორ უნდა გაუტეხოს გული მორწმუნეს!?. გამოცდა ოვიეე გამობრძმედაა, მისგან რჩეული ხალხი ღმერთმა არ ჩაყარა ეეიპტის ტყეეობაში და მენეე არ დაუბრუნა აღთქმული ქხარე და დაუფრინა სამეფო ტახტზე ჩემი წინაპარი დაეით? დღესაც შეურყეეელი იქნებოდა მათი სამეფო, თუ რომ ღმერთი, ქრისტეთ მოელენილი, ეცნათ ძედ ღეთისათ და არ გადგომოდენ?!. შორს... შორს ჩემგან იქეიანობაჲ! მრწამს და აღეიარებ, რომ მომაკლი ქრისტიანობისაჲ! დღესეე შეეყარი დარბაზს და გადგაწყეეტინეს, რომ ორიეემ თავთავეისი საკადრისი პასუხი მიიღოს და ღმერთო შენით! თქეა, გამოისახა პირველარი და შაჰერდა სახატეს.

ამაეე დღეს დარბაზს ხმის უმეტესობით გადაწყეეტა, რომ გაეწყეეტა კავშირი სპარსეთთან და მიკედლებოდა ჩრდილოეთს.

ᲐᲑᲐᲜᲘ

(შემდეგი იქნება)

*) ზონა, ანუ სონა სპარსულად ᲨᲔᲜᲘᲠᲘᲡ ნაშხაჲს და სპარსულიაც ასე ეძახდენ სპარსოეეთიდან წაყვანილ ქალებს.

მოწეალეო ხელმწიე ᲔᲔᲒ

ᲞᲐᲢᲠᲝᲜ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ!*)

ერა-კითხეის გამავრცელებელის საზოგადოების გამგეობის მონდობილობით, გთხოვთ უმორჩილესათ გეთაქმეეინოთ თქვენს პატეცემულს გაზეთში ორიოდე სიტყეა იმ სტატეის გამო, რომელიც დაბეჭდილია „კეალის“ № 45-ში სახელად: ნ. ბარათაშეილის ლეკსები და წერილები.

ამ წიგნის გამოცემა საზოგადოების გამგეობისაგან მონდობილი გექონდა ჩენ ქეემორე ხელის მოწერელთა. გამეეიბის სურეელი იყო, რომ დაბეჭდილიყეენ ნ. ბარათაშეილის ნაწერები, როგორც უწერია თეით აეტორს, ისე რომ იოტის ოდენი ცვლილება არ ყოფილიყო შეტანილი. გამგეობაც და ჩენც ეფიქრობდით, რომ იმისთანა პოეტის ნაწერს, როგორიც ბარათაშეილია, აქეს სრული უფლება გადაეცეს ჩამომავლობას იმ სახით, რა სახე�Ი თეით დიდებულს პოეტს მიეცია. შესაძლებელია ზოგერთი სიტყეა და ფრაზა ისე არ ჰქონდეს ბარათაშეილს ნახმარი, როგორც ახლა ხმარობენ ჩენნი მწერლები, მაგრამ მაინც არაეისა აქეს უფლება მისი ნაწერები გადაეეთოს, გადაასწოროს და, მით უმეტეს, გადაამახინჯოს, ამას მოითხოეს სხეათა შორის ენათ-მეცნიერების ინტერესი და თეით დიდებული პოეტის პატეიისცემა ამ დიდ ანრის საფუძელათ ბარათაშეილის ლეკსები დაიბეჭდა სრულის სხსწორით და თანხმობით თეით პოეტის ხელ თნაწერებთან. არც ერთი სიტყეა, არც ერთი ასო, არც ერთი წერტილი არ არის შეცვლილი. ლეკსების გამოცემის დროს ხელთა გექონდა პოეტის ხელით ნაწერი სამი ლეკსები კრებული და წერილები, რომელშიაც არიან მოკეცულნი კიდეე ცალეე ზოგეერთი ლეკსები. როგორც თეით გამოცემის წინასიტყეაობაში სწერია, საფუძელათ გამოცემის დადო

*) ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲠᲗᲚᲬᲔᲠᲐ ᲓᲐᲪᲕᲣᲚᲘ.

ᲠᲔᲓ.

ერთი ეარიანტი (თაყვანშეილისა), ხოლო დანარჩენის ეარიანტების განსხვავებანი ნაჩვენებნი არიან შენიშვნებში. ასე განსიჯეთ, კორეტტურული შეცდომებიც კი თითქმის არ მოიპოვება ლექსებში. ამიტომაც სრულიად უსაფუძვლოა კრიტიკოკის ბ-ნის ფხის შემდეგი სიტყვები: „საზოგადოება რომ გულცივეთ მოპყრობა გამოცემის საქმეს, ეს იქიდან ჩანს, რომ მართლ-წერასთან-ს საჭირო ყურადღება არ მიიქცეია, ზოგან ლექსი გადუმახინჯებია და აზრიც კი შეუცვლია“.

ის მაგალითები, რომლებიც კრიტიკოსს მოჰყავს თავის სიტყვების დასასაბუთებლათ, ამტკიცებენ მხოლოთ, რომ მას თავის კრიტიკა ზეპირათ დაუწერია და დაბეჭდილი ლექსები არ შეუდარებია პოეტის საკუთარის ხელით დაწერილს ეარიანტებისთვის. სწორეთ ბარათაშვილი ხმარობს სიტყვებს: გიდამ, ᲭᲘᲜᲐᲛᲘ, ᲛᲭᲘᲜᲐᲛᲘᲗ; სწორეთ ბარათაშვილს აქვს ნახმარი ᲮᲛᲔᲑᲘᲗ ᲛᲠ, რიც. მესამე პირის დაბოლოებაში ᲮᲐᲜ ᲓᲘ, ᲮᲐᲜ ᲓᲘᲜᲔ; სწორეთ პოეტის ხელით არიან დაწერილნი: ᲒᲣᲚᲘᲡ-ᲒᲣᲜᲯᲘᲗᲐ, ᲛᲝᲯᲐᲠᲘ, ᲬᲣᲓᲘᲡ ᲞᲘᲠᲘᲡ, ᲘᲡᲐ ᲒᲣᲜᲯᲘᲗᲐ, ᲒᲐᲠᲓᲐᲬᲣᲓᲐᲓ, ᲡᲘᲛᲫᲣᲠᲐᲠᲘ (ნეტა რა არ მოსწონს ამ სიტყვაში კრიტიკოსს?), ᲬᲐᲠᲛᲘᲢᲙᲜᲐ, ᲬᲣᲓᲘᲗᲘ, ᲡᲘᲛᲫᲣᲠᲡᲐᲛ და სხ. ერთის სიტყვით არც ერთი მაგალითი არ უწერენია კრიტიკოსს იმისი, რომ ბარათაშვილის მიერ ნახმარი სიტყვა ან ფორმა გადაკეთებული, გადასწორებული ან გადამახინჯებული ყოფილიყოს. კრიტიკოსი რომ გარკვილიყო და თავის სტატიის დაწერამდე საზოგადოების წიგნთ-საცავში გადავთვალიერებინა ბარათაშვილის ატოგრაფები, მაშინ ხომ ეველარ დასწერდა ისეთის თავგამოდებით: „ბევრი ამ ვვარი შეცდომებით აღუესია საზოგადოებას ნ. ბარათაშვილის თხზულებანი, მაგრამ ეველას აქ ვინ ჩამოთვლის: მაშინ მთელი წიგნის გადმობეჭდვა დაეკვირდებოდა“. სრულის საუფლებიანობით შეიძლება თვით კრიტიკოსს დავუბრუნოთ ის სიტყვები, რომლებითაც თავების თავისს (ტატის, შესაფერის განსხვავებით, რასაკვირველია: „ბ-ნს ფხს არ ეკადრებოდა სმართლეს ასე მოჰქცეოდა და ნ. ბარათაშვილის ლექსების მეხუთე გამოცემას ასე აგდებით არ უნდა მოჰპყრობოდა“.

დ. კარიჭაშვილი

ე. თაყვანშვილი.

25 დეკემბ. 1895 წ.

უმთავრესი მოგება სახელმწიფო საადგილმამულო ბანკის ბილერისა 1 ნოემბერს.

№	№ ბილ.	სერია	მოგება.	№	№ ბილეთ	სერია	მოგება.
3081	25	200000	118,57	43	1000		
10025	39	75000	3534	19	1000		
8599	32	40000	11413	38	1000		
11183	47	25000	3959	41	1000		
14792	11	10000	6030	22	1000		
169	26	10000	9339	32	1000		
3686	17	10000	1969	5	1000		
1172	32	8000	14886	43	1000		
11765	48	8000	14018	41	1000		
2305	23	8000	13660	43	1000		
2433	46	8000	4079	10	1000		
9590	36	8000	2970	3	1000		
8058	8	5000	11594	25	1000		
14339	13	5000	8961	29	1000		
9191	39	5000	7864	34	1000		
6595	6	5000	7830	35	1000		
2075	18	5000	3530	11	1000		
10443	17	5000	4819	10	1000		
4513	7	5000	2743	47	1000		
10679	22	5000	15295	37	1000		

ᲬᲘᲜᲐᲛᲫᲦᲕᲐᲠᲘ-ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲘ ᲐᲜ. ᲗᲐᲛᲐᲠᲝᲕᲘᲡ.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

დაიბეჭდა და ამ დღეებში დაურიგდება ხელის მომწერლებს მეხუთე ნომერი

„ᲯᲔᲯᲘᲚᲘ“

ᲔᲥᲘᲛᲘ

Ი. Ს. ᲔᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲒᲐᲓᲐᲕᲘᲓᲐ ᲜᲘᲝᲚᲝᲒᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲨᲘ. ᲐᲕᲗᲘᲛᲔᲝᲛᲔᲑᲡ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲡ ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲐᲗ.

Литературно-политическая еженедельная газета

„ЗАРЯ“

Годъ 1896 Цѣна 5 рублей

Редакция каждый понедѣльникъ, среда и пятница, отъ 1 до 3 часовъ дня.

Адресъ редакции: Тифлисъ, Ольгинская улица, домъ Ивановой, № 1.